



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ლაგოდეხისწყალი

ლაგოდეხისწყალი, მდინარე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, მანძისწყლის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, გ. დ. 2995 მ-ზე. სიგრძე 31 კმ, აუზის ფართ. 98 კმ<sup>2</sup>. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – გაფხულსა და ზამთარში, წყალმოვარდნები – შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი 2,5 მ<sup>3</sup>/წმ. იყენებენ სარწყავად.

---